№ 2. 4 იანვარი, პარასკევი. 1866—1880 4 იანვარი, პარასკევი, № 2.

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

„დროება“—„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“—„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

დღეს, პარასკევს, 4 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან

საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება

**რაც გინახავს ვეღარ ნახავ!**

სამ-მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარ.

და

**ბრაზიანი ამერიკელი**

ვოდევ. ერთ მოქმედებათ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 1 იანვარს. „მთავრობის უწყებაში“ სწერია: კანნი, 30 დეკემბერს. იმპერატრიცამ დღე გაატარა მშვიდობიანად, ხველაც შეუმცირდა დღით, და ღამე კი ახველებდა ჩვეულებრივად, მადაცა აქვს, ოფლიც ისე აღარ მოსდის; სიცხე—საღამოზე 37,9, მაჯა 98; სიცხე—დილით 37,8, მაჯა 100. ხელი მოაწერეს: ექიმებმა ალიშევსკიმ და ბოტკინმა.

**პეტერბურღი**, 1 იანვარს. „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი 1880 წლისათვის, შემოსავალი ნაანგარიშებულია 666,452,434 მანეთი, გასავალი 666,256,500 მან. შემოსავალი მეტია გასავალზე 195,934 მანეთით.

**პარიჟი**, 2 იანვარს. დეპუტატთა პალატამ, ხმის უმეტესობით, ისევ გამბეტტა გამოარჩია თავის თავმჯდომარედ.

**ცეტინიე**, 2 იანვარს. ჩერნოგორიის მთავარმა ნიკოლაიმ 5,000 ჯარი გაგზავნა ანდრეევიცაში.

**ნოვოჩერკასკი**, 2 იანვარს. აქაურს ოლქის სასამართლოში რომ 70,000 მანეთი დაიკარგა, ამ საქმის განხილვა 15 იანვრისათვის არის დანიშნული.

**პეტერბურღი**, 2 იანვარს. ტირაჟი პირველ შინაგან სესხის ბილეთებისა, რომელიც მოხდა გუშინ, 1 იანვარს:

| № სერიისა, | № ბილეთისა, | ჯამი მოგებისა |
|---|---|---|
| 11,162 | 16 | 200,000 |
| 459 | 44 | 75,000 |
| 809 | 18 | 40,000 |
| 12,905 | 8 | 25,000 |
| 1,340 | 9 | 10,000 |
| 9,382 | 20 | 10,000 |
| 13,390 | 9 | 8,000 |
| 12,984 | 7 | 8,000 |
| 14,881 | 19 | 8,000 |
| 17,368 | 6 | 8,000 |
| 17,671 | 39 | 8,000 |
| 5,922 | 27 | 5,000 |
| 16,917 | 42 | 5,000 |
| 3,499 | 29 | 5,000 |
| 2,390 | 15 | 5,000 |
| 9,787 | 15 | 5,000 |
| 19,452 | 35 | 5,000 |
| 17,339 | 49 | 5,000 |
| 17,719 | 7 | 5,000 |
| 13,795 | 42 | 1,000 |
| 6,078 | 1 | 1,000 |
| 11,264 | 20 | 1,000 |
| 1,694 | 29 | 1,000 |
| 7,466 | 17 | 1,000 |
| 14,042 | 33 | 1,000 |
| 10,443 | 49 | 1,000 |
| 14,518 | 22 | 1,000 |
| 2,353 | 30 | 1,000 |
| 17,475 | 45 | 1,000 |
| 19,500 | 26 | 1,000 |
| 10,369 | 28 | 1,000 |
| 19,277 | 48 | 1,000 |
| 10,901 | 31 | 1,000 |
| 15,454 | 2 | 1,000 |
| 4,573 | 15 | 1,000 |
| 18,223 | 24 | 1,000 |
| 6,609 | 46 | 1,000 |
| 11,011 | 42 | 1,000 |
| 3,333 | 11 | 1,000 |
| 2,643 | 35 | 1,000 |

---

## ხე ნაყოფით იცნობება.

თბილისი 3 იანვარს 1880 წ.

„უკანასკნელი ადგილი სხვა-და-სხვა სასწავლებელთ შორის დაიჭირეს ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შკოლებმა. გამოცდის დროს არც ერთი მათი მოწაფე არ აღმოჩნდა ღირსი მიღებისა სამოსწავლებლო სემინარიაში.“

ამ სიტყვებს ვკითხულობთ გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის ანგარიშში. ეს ანგარიში შეეხება იმ მისაღებ გამოცდას, ეგზამენს, რომელიც წარსულ სეკტემბერს ყოფილა მოხსენებულ სასწავლებელში.

ჯოჯოხეთს ერთი მეგუზალი აკლდა და ისიც შეუკეთესო... ამ შკოლების უვარგისობის სრულს დამტკიცებას აკლდა მხოლოდ ერთად ერთი მოწმობა: მოწმობა იმ ბანკისა, იმ წრისა, რომელსაც ეკუთვნის ინსპექტორი მოხსენებული შკოლებისა. ყოველ-გვარი სხვა საბუთები მკითხველს მოხსენდა ამ ორი წლის წინათ თბილისის უწყებაში და ჩვენს გაზეთშიაც. ეს მოწმობაც მივიღეთ და წავიკითხეთ თვით აფიციალურ გაზეთში. მივიღეთ იმისთანა პირისაგან, რომელიც ამ წრეში არის უპატიოსნეთაგანი, სამართლიანი და მცოდნე. უკეთესი შემწეობა არ შეიძლებოდა.

მაშასადამე, მტკინარი უარგისობა ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების შკოლებისა ამ ჟამად შეადგენს ყველასათვის ცხად ჭეშმარიტებასა, აქსიომასა. ერთ საზოგადო ბოროტებას, რომელსაც ზოგიერთა მაინც აქამდის საზოგადო სიკეთეთა სთვლიდა, პირბადე მთლათ ჩამოეგლიჯა და სრულიად ღელელა იქმნა საქვეყნოდ.

რა სენი ახდენს ამ შკოლებსა? რა აქცევს მათ მოქმედებას ნაცრათ? იქნება სახსარი, ფული აკლიათ? თითო შკოლაზედ საზოგადოება წელიწადში ხარჯავს თითქმის ას თუმნამდე... იქნება მასწავლებელნი არ უვარგიან? არა სხვა შკოლები არ აბარია იმისთანა მომზადებულ ოსტატებს, იმისთანა სპეციალისტებს, როგორც ეს შკოლები. იქნება ხელმძღვანელობა აკლიათ? მათ მიჩემებული ჰყავთ საკუთარი ინსპეკტორი, სპეციალისტად ცნობილი და წელიწადში ოთხასი თუმნით დაჯილდოებული. იქნება სწავლის კურსი მოკლეა? ყმაწვილებს შკოლებში იჭერენ, სამი-ოთხი წლის მაგივრად, ხუთ-ექვს წელიწადს. იქნება სხვა რამე გარემოება უცარავდეთ მათ ხელსა? სახლები მშვენიერნი და საგანგებოთ აშენებულები აქვთ, წიგნები და სასწავლო

---

## ფელეტონი

### ნობათი

მომირთმევია საახალწლო ნობათი.

ბევრი წელიწადი გაგვთენებოდეს ყველას.

ხომ კარგი დალოცვაა, კარგი მილოცვაა?

მხიარულებაც დაატანე ზედაო, მხიარული და ბედნიერი წელიწადიო!

მოგვკლდა განა მხიარულება, ქართველო კაცო! რას ემახი მხიარულებას ნეტა ვიცოდე?

—ფიე! როგორ თუ რასაო, მეტყვი. ლხინით სადილები, ლხინით ადგომა, ლხინით ძილი, ლხინით სიცოცხლე...

და ლხინით სიკვდილი, განა? ლხინი რაღა არის, ნეტავი მითხრა?

—ბევრი ფიქრი არა მქონდეს, ზრუნვა არა მქონდეს. აი ეგ მომწონს.

* * *

მერე ვისა აქვს, ან რა ზრუნვა და ფიქრი აქვს?

—მამული მინდა გავყიდო, ნეტა როდის გივყიდი; ხუთიოდ თუმანი მეჭირება, ამაღამ ქაღალდი უნდა ვითამაშო, ერთი ხელათ ექვსი შაური ფაიტონისა მოიტა! ეს ზრუნვა-ნაღველი არ არის, მაშ რა არის?

აგრე გაჭირებულს და ნაღვლიანს როგხედავ, ძალიანი სურვილი მაქვს სალხინო ამბები გითხრა და ამ ბედნიერ დღეს გული გაგიმხიარულო. ვიცი რომ ნაზი გულის პატრონი ხარ. უბრალო საზრუნველი საქმე მეტათა სხავრავს შენს გულსა. შენ გულს განაზება უნდა, ალერსი, დაყვავება.

გიალერსებ, გაგანაზებ, ზრუნვას დაგივიწყებ, ერთის სიტყვით, მოგკლხენ. ეს არ გინდა?

* * *

მგონია იმისთანა სანატრელი ყოფა კაცისათვის არა იყოს-რა, როდესაც არც მამულის ნაღველი აწუხებს, არც ცოლშვილისა, არც ქონებისა, არც ამ ქვეყნისა და არც იმ ქვეყნისა. როგორც თათარს უთქვამს, „ბირ ბაშ, ბირ ტაშ“, ერთი თავი და ერთი ხელიო. აი ეს უნდა იყოს სრული ნეტარება: ჭერათ ცა გედგას და მამულათ დედა-მიწა, სცხოვრებდე ვითარცა ფრინველი ცისა? აქ არც ზრუნვა გინდა, არც ნაღველი.

ეს სიტყვა იმაზე ჩამოვაგდე, რომ ნაღვლიანს და ზრუნვით დატვირთულს ქართველს მოვაგონო, გავახსენო ნეტარება რა არის და გული მოვიბრუნო, რომ ამ სანატრელ ყოფას ვუახლოვდებით. მიახრით, ვუახლოვდებით თუ ვშორდებით?

რასაკვირველია, ვუახლოვდებით. მაშ გიხაროდენ და მხიარული იყავი!

* * *

კაცის ზრუნვა და ნაღველი წარმოსდგება ქონებისაგან, რომელიც ორ გვარია, ერთი სულიერი (გონებითი და ზნეობითი) და მეორე ნივთიერი. პირველს განათლებას ვეძახით, მეორე ხომ ქონებაა და ქონებას ვამბობთ. ვისა აქვს მეტი ნაღველი, თუ არ მქონებელსა და ვისაც რამ უსწავლია. რამდენიც ესენი კაცს ემატება, ნაღველი და ზრუნვა ემატება...

აბა ახლა მიბძანეთ, ამ ზრუნვის მიზეზი უფრო გვემატება თუ გვაკლდება? რასაკვირველია, გვაკლდება. მაშასადამე ნაღველიც უნდა მოგვაკლდეს.

არ გაიხარებ ქართველო? აგი გითხარი გაგამხიარულებ-მეთქი. ყოჩაღათ იყავი.

* * *

მაგრამ, ჩემო მკითხველო, მეფიქრება რომ კილოკავად ნათქვამი, მალე არ გაქარწყლდეს და შენ ქართველურ გულში ნაღველმა და ზრუნვამ ფეხი არ შემოსდგას. ახალი წელიწადია, უნდა მხიარულებას ვეცადნეთ, რა ვქნა შენი სათრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთები უხვად მისდით, ყველა შკოლას თავისი ბიბლიოთეკა აქვს და, სიკეთეთა შესამსებლად, ადმინისტრაციაც ენერგიულად უმართავს ხელს ამ შკოლებსა, ყოველი მხრით ეწევა და ეჩიჩინება ხალხს მათ სარგებლობაზედ, მათ სარფიანობაზედ.

დიახ, კარგათ გახლავთ ხე მოვლილი, ლაზათიანათ არის ყოველი მხრით შემკული, მაგრამ ნაყოფს კი სრულიად დამპალს და შხმაკს ისხამს. რათა ხდება ესა? რა შხამას და აჭიანებს მის ნაყოფსა? ხე გახლავთ სრულიად უფესო და დაშორებული დედა-მიწასა. აი ჭეშმარიტი მიზეზი მისი უვარგისობისა, მისი უმზგავსობისა. ბევრს წყალს ასხმენ დამრგველები მის ღეროს, მის ტოტებს, მის ფოთლებს, კაი ძიძასავით ეფერებიან, მაგრამ ყველა ეს ამაოდ მიდის. ხე აძლევს მათ მარტო მახინჯს. უარგისს და საწყენ ხილსა.

ყველა შკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოებდეს; მათით უნდა იზრდებოდეს, მათით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია შკოლისა. თვით ღატაკი შკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, შემკული შკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია. ეს ყველგან აქსიომათ მიაჩნიათ; მაგრამ ჩვენი უკულმართი გონება და მიმართულება უარს ჰყოფს ბევრს აქსიომებს. ხშირად ჩვენში ჯიუტურად გესმის: ორჯელ ორი კართოფილის სამთელია და არა ოთხიო.

ქრისტიანების აღმადგენელი საზოგადოების შკოლების საფუძველს, კუთხითი ქვას დედა-ენა როდი შეადგენს. ეს ძალიან ცოტა ვსთქვით. დედა-ენა სრულიად გამოგდებულია. მასწავლებელს აღკრძალული აქვს მისი ხმარება პირველი ოთხი თვის შემდეგ. ყველაფერი, ყოველი საგანი უთუოთ, მოუცილებლად გაუგებარს რუსულს ენაზედ უნდა ასწავლოს. ამითიც არა თავდება დედა-ენის შევიწროება. ქართული ენა სრულიად გამოკლებულია საგნების რიცხვიდგან, არც ერთი საათი არ არის დადებული მისი სწავლებისათვის. დედა-ენას ჩამორთმეული აქვს ყოველთ უფლება და ისიც სად? საცა ის უნდა იყოს ცენტრი, დედა-ბოძი, ბურჯი შენობისა... მაგრამ შეიძლება მოხდეს ხიფათი, ზოგიერთა მოწაფემ თავი გამოიდოს და ჩუმათ კანტრაბანდით შეისწავლოს მშობლიური წერა-კითხვა და ჩაინერგოს სიყვარული დედა-ენისა. ამას წამალიც მოგონილი გახლავთ. ქართულ ენაზედაც სულელური წუნი ბლომათ მოიპოება. ამ წიგნებს დედა-ენაზედ გულის აცრუება ადვილად შეუძლიანთ. ეს კარგად შეუტყვია ახლანდელ ინსპეკტორს საზოგადოების შკოლებისასა და მათ უგზავნის მარტო ამ გვარ წიგნებს, მარტო სისულელით სავსე ნაბეჭდებს.

ხვალამდის

## ახალი ამბები

წლევანდელი წელიწადი პერიოდიულ ლიტერატურის გაცხოველების წელიწადია: ორი ახალი გაზეთი გვემატება—რუსულ-სომხური „შრომა“ (Трудъ) უფ. ტერ-მილიქსეტიანცისა და რუსული „Вѣстникъ Кавказа“ (მოამბე კავკაზიისა) უფ ჩანცევისა; „კავკაზი“ და „თფილისის მოამბე“ ორშაბათობითაც იწყებენ გამოსვლას; განახლდა უფ. ნიკოლაძის „ობზორი“, ცვლილება მოხდა ჩვენს „დროებაში“ და „ივერიაშიაც“ და სხვა და სხვა.

ამ ნაირად თვითონ რედაქციები თავიანთ გამოცემების ცვლილებასა, წარმატებასა და ყოველის მხრით უკეთ წაყვანას გვპირდებიან.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვინატროთ, რომ ამ გამოცემების პატრონებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს შესძლებოდესთ თავიანთ დაპირების სისრულეში მოყვანა, და ამ სისრულეში მოყვანის დროშ იმათ წელს უფრო ნაკლები „დამოუკიდებელი“ და გარეშე დაბრკოლება დახვედროდესთ წინ, ვინემ შარშან და საზოგადოთ წინა-წლებში ხვდებოდათ ხოლმე...

—

შობა-ღამეს რომ შუა-ბაზარში, სიონის პირ-და-პირ ონანოვის ქარვასლა დაიწვა, გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ის ცეცხლი განგებ ყოფილა წაკიდებული. პილაც ტერ-ოღანეზოვი და იმის პრისკასჩიკი არამოვი დაუჭერიათ.

ზარალი ამ ცეცხლის გამო, ამბობენ, ერთ მილიონამდინ არისო.

—

ორი ახალი პარომი იმართება ამ მოკლე ხანში მტკვარზე, ერთი საზაფხულო თეატრის ქვემოდამ და მეორეც უფ. მირზოევის ფაბრიკის მახლობლად. უფ. იაგორ პასუმოვი, რომელსაც პირველად მოუვიდა აზრი ამ ორ ადგილას პარომების გამართვისა, თხოვდა ქალაქის გამგეობას, რომ მე მომეცეს იჯარით, სამის წლის ვადით ამ პარომების გამართვის ნებაო, და იჯარის ფასს 500 მანეთს იძლეოდა; მაგრამ გავლილ 28 დეკემბერს ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა, რომ ამ პირობაზე ვაჭრობა (ტორგი) გამოცხადდესო.

—

საქართველოს ყველა კუთხებიდამ საშინელ ღრმა თოვლის მოსვლასა და საზოგადოთ ცივ ზამთარს იწერებიან წელს. განსაკუთრებით, დიდ ზამთარს ამბობენ დასავლეთ საქართველოსაკენ: იმერეთ-გურიისაკენ და ბათუმის მხრისაკენ.

სოფლის მეოჯახეებს ეს გარემოება სასიამოვნოდ მიაჩნიათ, რადგან ამისთანა ცივ და დიდ თოვლიან ზამთარს ყოველთვის კარგი ამინდი მოსდევს ოლმე ნამუშევრისათვის.

—

ბათუმიდამ გვწერენ, რომ ამ ქალიქის ზოგიერთს ქუჩებზე, მაგალითად ღუბერნატორის სახლის უკან, შუა-ბაზარში, მამიშ-ეფენდისა და ქურთიოღლის აბანოების მახლობლად და სხვ. ისეთი ტბები დგასო, რომ ნავით შეიძლება იაროს კაცმაო. ახლა კიდევ არაფერიო, გვწერს კორესპონდენტი, ზამთარი არისო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რო გაზაფხულდება და ეს ტბები დაშრობას დაიწყობენ, რა საძაგელი და მავნებელი სუნი დადგებაო... ადმინისტრაციამ რომ მოინდომოს, ამ ქუჩების გასუფთავება ძალიან ადვილი არისო...

## ქუთაისის ქალაქის ამომრჩეველთა კრება

16 ქრისტეშობისთვეს.

კვირას, 16 ქრისტეშობისთვეს, პირველი კატეგორიის ქალაქის ამომრჩევლები მოწვეულნი იყვნენ ქალაქის გამგეობაში მომავალი რჩევის პირველი კატეგორიის ხმოსანთ ამოსარჩეველათ.

ამ კატეგორიაში ითვლებოდა სულ 31 მეკენჭე, მაგრამ გამოცხადდა მხოლოდ 26.

ყოველი ამომრჩეველი შემოსავალ კარებში ჩაიწერებოდა სიაში და იქავ მიიღებდა კანდიდატების სიას, რომელშიაც უნდა ჩაეწერა 18 თავისი კანდიდატი.

ეს კრება სწორეთ სასაცილო იყო; „სკაპენის ცუღლუტობის“ სცენა წარმოგიდგებოდათ თვალ-წინ. მიიღებდნენ თუ არა კანდიდატების სიას, დაიკავებდნენ ხელში და მივიდოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან და ეუბნებოდნენ, ხომ არ გეწყინება, რომ კანდიდატათ წარგადგინოვო.

— რათ მეწყინება, როგორც და ვინც შენ გსურდეს, ის წარადგინეო, უპასუხებდნენ.

— არა, მე თქვენი საწყენი არა მინდა-რა, ეტყოდა ამომრჩეველი და გაბრუნდებოდა. ჩაწერდა თუ არა, ის ღმერთმა იცის, მაგრამ თავის საქმეს კი იკეთებდა თავის გუნებაში.

ამას გარდა ერთი შეადგენდა სიას და სხვებს, რამოდენიმე პირს, იქიდგან

---

და სიყვარული მაქვს, შენ გულს არავის და არაფერს არ დავაჩაგვრინებ.

დაიხსომე „ბირ ბაშ, ბირ ტაში“.

* * *

საიდამაც გინდა დაიწყე, გინდა მაღლა ფარდებიდამ, გინდ დაბლა ფარდებიდამ, ყოველთვის ერთი ბოლო გამოვა ბირ ბაშ, ბირ ტაშისა.

მთელი ქართველობის მამულები მთელ საქართველოში, გინდ ქალაქებში, გინდ სოფლებში, სულ ქართველებს არ გვეჭირა? რამდენი ზრუნვა აქვს მამულსა, აბა ყველა მოგეხსენებათ: ეს ხვნა, ეს თესვა, ეს გალეწაო, ერთი, მეორე, წვალებაა... პატარა მოფიქრების შემდეგ, ერთმანეთს ხუმრობით, თუნდა ვსთქვათ, ერთი საოვლავის ოდენა მიწისთვის დავები აუტეხეთ, აგება უკან დევნაში მალე თავიდამ მოვიშორეთ მამულებიო და ზრუნვას მოვრჩეთო. დავაში ფულები მოგვინდა, ფულისათვის რაცა გვქონდა ისიც დავახურდავეთ და ვაჭრებს, მედუქნეებს, სომხებს, ურიებს, ფრანცუზებს და ნემეცებს გადავეცით. ზრუნვას მოვრჩით, ფიქრი აღარა გვაქვს, ერთი თავი და ერთი ხელი შეგვრჩა. მსუბუქათ დავდივართ, მუდამ საათს ლხინი შეგვიძლია. ვინც აქამდის ვერ მოგვეწია, მალე მოგვეწევა და ბურთი და მეიდანი ლხინისა ქართველებს დარჩებათ; ზრუნვისა და ვაგლახისა ვაჭრებსა და მედუქნეებსა.

* * *

იქნება მეტის-მეტ შენის გულის წასაღისებაში ჩამომართვა ეს ნათქვამი. გარწმუნებ, რომ ნამდვილია.

მას აქეთ, რაც ქართველმა მოიგონა ეს ანდაზა: ქართველი გუთანზე და სომეხი დუქანზეო და ეს სიტყვა შეურყეველ ჭეშმარიტებასავით მიიღო, ქართველმა ვაჭრობაზე ხელი აიღო. ამას, რასაკვირველია, ის მოჰყვა, რომ მთელის საქართველოის, ამერ-იმერის, ქალაქები სომხებს დარჩათ. შარშან აკაკის წამოდავებამ ვერა უშველა რა: საქართველოს ქალაქში ქართველებს არ ირჩევთო? სომხური გაზეთის რედაქტორმა არწრუნმა სუსხი პასუხი მისცა: ქალაქი საქართველოს მიწაზეაო, მაგრამ სომხებისააო. ეს ხომ მარტო ტფილისზე იყო ლაპარაკი, სამართლიანი პასუხი იქნებოდა, რომ ეთქვა, გორი, ახალციხე, ახალქალაქი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, საკმაოდ დიდი ნაწილი ქუთაისისა, ფოთისა, ოზურგეთისა და სხვანიცა სომხებისააო. მთელი მამულები ქალაქებისა, შენობები და ქარვასლები, სომხებისა არ არის? ეს ხომ ნამდვილია? ისიც ნამდვილია, რომ ამ ქალაქების გარეშემო სოფლები და მამულები ამ სომხებისაა. მაგალითად ტფილისის გარშემო ოც ვერსტზე ნახევრობით ტფილისის ვაჭრებისაა, ნახევრობით ისევ გლეხათ ჩავარდნილ სომხებისაა. იმერეთში სომხები და ურიები ნაკლებ არიან, მაგრამ ქუთაისის ახლოს დიდი უზარმაზარი ტყე ვარდციხისა, კულაშის მამულები, თვით რკინის გზის პირის ადგილები, ვის უჭირავს და ვინ იჭერს თუ არ სომხები და ურიები. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ საცა დიდი სოფელია, კარგი და დიდი მამულები, იმათ უჭირავთ. საკმარის დავასახელოთ მუხრანი, ხიდისთავი, ცხინვალი, სურამი, საგარეჯო, პატარძეული, შილდა, კულაში, ონი. პატარა ვაჭრობა გაიმართოს, იმერეთ-სამეგრელოშიაც კარგა ბლომათ გამრავლდება ამისთანა სოფლების რიცხვი. ხომ ასეა ნამდვილად. მაშ მამულისა, მიწის და ქონების ზრუნვას გადავრჩებით, დილაზე მამულს გავყიდით საღამოზე მეჯლისში ლეკურს ვითამაშებთ.

გეუბნები გაგამხიარულებ მეთქი, იმედს გაგიდიდებ, რომ თან და თან ნაღველი, ნაღვლის მიზეზი გვშორდება *).

---

*) იქნება სომხებმა ან სხვამ წაიკითხოს და შემწამოს, ქართველს ნეტარებას ექადისო და სომეხს კი ვებასაო. სრულებითაც ნუ იფიქრებს. იმას ნეტარება ესლავე აქვს. ამიტომ, რომ თავის მამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადააწერინებდა, ასე რომ ბოლოს, სიების საზოგადოთ შესწორების დროს, ცხადათ აღმოჩნდა, რომ 26 სიიდგან თითქმის თუთხმეტი სია ერთი მეორიდგან იყვნენ გადმოწერილი.

თორმეტს საათზედ ქალაქის თავმა უფ. ლ. ნ. ასათიანმა გახსნა სხდომა და დაახლოებით სთქვა შემდეგი:

— ბატონებო, დღეს თქვენ ბძანებით მოწვეულნი მომავალი რჩევისთვის პირველის კატეგორიის ხმოსანთ ამოსარჩეველათ. მინამ კენჭის ყრას შევუდგებოდეთ, მე წავიკითხავ სიას, შევიტყოთ თუ რამდენი უნდა მოსულიყვნენ, ან რამდენი მოვიდნენ და ვინ ვის მაგივრათ გამოცხადდა ვექილათ.

ამ სიიდამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, აღმოჩნდა, რომ 31 კაციდგან 26 იყვნენ გამოცხადებულნი.

თავ-მჯდომარემ ჰსთქვა, რომ აღმომრჩევლების სიაში არიან შესული სულ 930 კაცი. ამ რიცხვიდამ თითოეულ კატეგორიაში უნდა იქმნენ ამორჩეულნი თვრამეტი ხმოსანი, ესე იგი სამ კატეგორიაში 54 ხმოსანი. მართალია, დღეს მხოლოთ პირველ კატეგორია არის მოწვეული პირველი კატეგორიის ხმოსანთ ამოსარჩეველათ, მაგრამ შეიძლება, რომ დღეს იქმნენ კანდიდატებათ წარმოდგენილნი და აღმორჩეულნი იმისთანა პირნი, რომლებიც არიან ჩაწერილნი დანარჩენ ორ კატეგორიებში. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ თუ იქმნა ამორჩეული იმისთანა პირი, რომელსაც არა აქვს უფლება, 17 სტ. ქალაქის წესდებულების ძალით, ამორჩევებში დასწრებისა, ის ამორჩევა უკანონოთ ჩაითვლება.

კენჭის-ყრის დაწყებამდის თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას შემდეგი კითხვები:

1) ონანოვის ვექილს აქვს მხოლოდ მამულის მმართველობის ვექილობა, რომელშიაც არ არის ნახსენები ხმის უფლების გადაცემა;— შეიძლება ამ ნაირი ვექილობით ამის ამორჩევებში მიღება, თუ არა?

2) ერთი პირიდგან მეორე პირზე მამული გადასულა; შეიძლება, რომ იმან ამით ხმის უფლება მიიღოს?

კრებამ ორივე კითხვაზე თანხმობა განაცხადა.

შემდგომ განარჩიეს კანდიდატების სიები; 50 კანდიდატი აღმოჩნდა.

ხანგრძლივი ლაპარაკი და baasi ატყდა იმის თაობაზედ: ვისაც ქალაქის ხარჯი სრულად არ შემოუტანია, მიეცესთ იმათ კენჭის უფლება, თუ არაო? ამ ბაასში მონაწილეობა მიიღეს უფ. პ. თუმანიშვილმა, ანტ. ლორთქიფანიძემ, ივ. მესხმა, ალ. ფიფინაშვილმა. ბოლოს კრებამ ოთხი კაცის წინააღმდეგ გადაწყვიტა „ნედოიმსჩიკების" მიუღებლობა.

შემდეგ შეუდგნენ კანდიდატების კენჭის ყრას.

პირველ კატეგორიაში ამოარჩიეს შემდეგნი პირნი ხმოსანათ:

1) ნიკ. ღოღაბერიძემ მიიღო—25 თეთრი კენჭი, 2) ანტ. ლორთქიფანიძემ—21, 3) გიორგი ძიზირიამ—19, 4) კოსტანტინე ქვარიანმა—20, 5) მოშა რიჟინაშვილმა—19, 6) ზ. ღოღაბერიძემ — 22, 7) დ. აბდუშელიშვილმა—18, 8) ნ. ზალინოვმა—19, 9) კ. ბაგემეისტერმა—17, 10) დ. ბაქრაძემ—17, 11) მ. თურქიამ—18, 12) ივ. ჯაიანმა—21, 13) ივანე ზვეღესიანმა—18, 14) ივანე მესხმა—18, 15) დ. ლორთქიფანიძემ—19, 16) ალ. ფიფინოვმა—18, 17) მ. ფალავამ—22 და 18) ლ. ასათიანმა—23.

ამათ რიცხვში დ. ბაქრაძეს ამოუვიდა—17 თეთრი და 9 შავი, ვასილ აბულაძეს—17 თეთრი და 7 შავი. წილი უყარეს და უფ. ბაქრაძეს ერგო ხმოსნობა.

ამით გათავდა ეს სხდომა 6 საათზე საღამოს.

ამ პირველმა ამორჩევებმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ქალაქის მომავალი რჩევა დიდათ უმჯობესი იქმნება წარსრულ რჩევაზე. მომავალ რჩევაში იქმნებიან უმეტესობა ნასწავლი, მშრომელნი და საქმისა და თავის დანიშნულების მცოდნე ხმოსნები.

(დასასრული შემდეგში)

# რუსეთი

მოსკოვი, 27 ქრისტეშობისთვეს. („დროების" კორრესპონდენცია). ჩვენი საზოგადოებისათვის, ვგონებ, არ უნდა იყოს ურიგო, რომ ადევნებდეს ყურს იმას, თუ რანაირად იმდინარეობს რუსეთის საზოგადოების ცხოვრება და რა მოვლინებები ხდება რუსეთში. სამწუხაროთ, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას რიგიანათ: ჩვენ ყოველდღიურ „დროებაში" ტელეგრამმების გარდა იშვიათად ნახავთ რამე ცნობებს, ამოკრებილებს რუსეთის ცხოვრებიდამ. რასაკვირველია, ამაში დამნაშავეა არა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, არამედ მათი უსაშვალობა: ჩვენი საზოგადოება ისე ცოტათ აჯილდოვებს მათს შრომას, რომ მათ არ შეუძლიათ, იყოლიონ საკუთარი კორრესპონდენტები სხვა-და-სხვა რუსეთის ქალაქებში. მე მსურს, ხანდისხან ვგზავნო წერილები „დროებაში" მოსკოვიდამ; ამ წერილებს ექნება მიზნათ, აცნობოს ჩვენს საზოგადოებას ამისთანა კითხვები და იმისთანა მოვლინებები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა ექნებათ ჩვენი საზოგადოებისათვის. ჩემ პირველ წერილში მე შევეხები შემდეგ ფაქტს: როგორც მოგეხსენებათ, მომავალ წლის 19 თებერვალს რუსეთი დღესასწაულობს ოც-და-ხუთის წლის იმპერატორი ალექსანდრე მეორის ხელმწიფობის შესრულებას. რუსეთში, ამ შემთხვევის გამო, სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელნი, სხვა-და-სხვა მეცნიერების საზოგადოებაები ცდილობენ როგორმე რიგიანად და ქვეყნის სასარგებლოთ იდღესასწაულონ ეს დღე. რადგანაც რუსეთში სწავლა-განათლება შედარებით სხვა-და-სხვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ძლიერ კოჭლობს, ამისთვის ყველა ზემო მოყვანილ საზოგადოებათ სურთ ისარგებლონ ამ დღით სწავლა-განათლების წინ-წასაწევათ: ხსნიან ამ დღის სამახსოვროთ შკოლებს, ნიშნავენ სტიპენდიებს უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა-და-სხვა, სხვათა შორის, ვგონებ, ჯერ-ჯერობით ყველაზე უკეთესათ და გამჭრიახათ მოქცეულა, როგორც სწერენ რუსულ გაზეთ „**Ново Время**"-ში, ვორონეჟის თავად-აზნაურობა. ამ უკანასკნელს გადაუწყვეტია, რომ იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან ამ დღის სამახსოვროდ ვ ო რ ო ნ ე ჟ შ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს გახსნაზე. უცხო და პატიოსანი შუამდგომლობა, შუამდგომლობა ღირსი წაბაძვისა. ჩვენი „დროების" მკითხველი მიხვდება, რისთვის მოვიყვანე ეს ფაქტი. რა საკვირველია, ჩვენი თავად-აზნაურობა, როგორც ჩვენ სატახტო ქალაქში თფილისში, აგრეთვე სხვა ქალიქებში და უეზდებში შეიყრება გარდასაწყვეტათ, თუ როგორ იდღესასწაულონ ეს დღე და რა კეთილი საქმით და შუამდგომლობით დაავგირგვინონ ქვეყნის სამახსოვროდ ოც-და-ხუთი წლის იმპერატორის ალექსანდრე მეორესი ხელმწიფობა, რომელმაც მოანიჭა რეფორმები; როგორც მთელ იმპერიას საზოგადოთ, აგრეთვე საქართველოსაც. ჩემი აზრი სულ ტრიალებს ერთს საგანზე, რომელზედაც ჩვენს ლიტერატურას და ჩვენს საზოგადოებას ბევრჯერ აღუძრავს კითხვა. ეს საგანია უნივერსიტეტის გახსნა თფილისში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ისარგებლებს ამ შემთხვევით, წაბაძავს ვორონეჟის თავად-აზნაურობას და იშუამდგომლებს უმაღლეს მთავრობასთან, ერთის ხმით, როგორც ამერეთის, ისრე იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ თფილისში ამ დღის სამახსოვროდ დაწესდეს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი. უმაღლეს მთავრობას ისრე ჰყავს ჩაბარებული საქართველო მისი მეფისაგან, რომ ხელმწიფე იმპერატორი ამ შუამდგომლობას არ დააგდებს უყურადღებოთ და დაგვასაჩუქრებს ამტენი რეფორმების დასაგვირგვინებელათ, უნივერსიტეტით. ვისზე არის ვალი ამ აზ-

* *
*

ქონებისა და სიმდიდრის უმთავრესი წყარო, ვაჭრობა და ხელოსნობაა. ამისგან მომდინარე ზრუნვასა და ნაღველს დიდი ხანია მოჩჩენილი ვართ. „ქართველი დუქანზე არ გამოდგებაო," გვითქვამს და გაგვითავებია. გაგვითავებია, მაშასადამე ამის ნაღველიცა. და სხვები ჩავარდნენ სიმდიდრის ზრუნვის მორევში, ჩვენ ზრუნვის თავი არა გვაქვს, ლხინი გვშვენის, ჯავრს ვერ ვეწყობით.

* *
*

სწავლა და განათლება გონებითი სიმდიდრეა, სულიერი სიმდიდრეაო, იტყვიან ხოლმე. ზრუნვა რო მოსდევს, ამას კი არ ამბობენ. მაგრამ ქართველი კაცი თავისის გამჭრიახის გონებით მალე მიხვდა, რომ სწავლა-მეცნიერებისაგან არა გამოვა-რა, ზრუნვისა და ნაღვლის მეტი. ეხლა და ეხლა მეტათ კარგა შეიტყო ეს აზრი. ამიტომ მთელ საქართველოში ორიოდ კაცი ძლივს თუ მოინახება ნამდვილი მსწავლული, გინდ სამღვდელო წოდებაში მოსამსნე, გინდ საეროში, გინდ მაღალ წოდებაში, გინდ დაბალში.

ადრე რომ შვილის გაზდისათვის თავს იგირავებდნენ, ახლა მადლობა ღმერთს თავს არავინ აღარ იტეხს. აი მაგალითად, საშუალო სასწავლებლები ადრე ნახევარზე ქართველი ყმაწვილებით სავსე იყო, ახლა მეათედსაც ვერა ნახავ, და წლის-წლობაზე თან-და-თან კლებულობს. ბატონო სულ ზრუნვა იყო, ჰაი ეს სასწავლებლის ფულების შეტანაო, ჰაი ეს შვილის მომზადებაო, ეს წიგნების ფასიო. ახლა აღარც აქეთ, აღარც იქით: როგორც იქნება ყმაწვილი შინ გაიზდება, იცხოვრებს, ლხინს ვასწავლით, ლეკურის თამაშობასა და სიმღერების მღერასა. ქართველ კაცსაც ეგ უნდა. შენი ჭირიმე, დიდი მამულები ან ქარვასლები დარჩება, რომ საფიქრებელი ჰქონდეს, რატო პატარა სწავლა არა მაქვსო? ბირ ბაშ, ბირ ტაშ იქნება. წავა ქვეყანაში ილხენს.

* *
*

ამ შვილების გაზრდაში და საერთოთ ოჯახობაში, ღმერთმა უშველოს ჩვენს დედა-კაცებსა, კარგა ხელს გვიწყობენ. ერთის სიტყვით, რომ იტყვიან დედაკაცი ოჯახის ბურჯიაო, სწორეთ ჩვენი ქალები არიან. სირუმიდანვე ლხინს შეჩვეულნი, ლხინით გვატარებინებენ ამ წუთის სოფლის სიცოცხლესა და შვილებსაც ლხინს ასწავლიან. შენი მტერი იქნებოდა, სომხის დედა-კაცებს დამსგავსებოდნენ: თითონვე ერეცხათ, თითონვე ექსოვათ და ეკერნათ, სახლ-კარისათვის, მოევლოთ, გროში-გროშზედ შეეგრათ და ხელ-ღია ქმრებისთვის პურა-მვირობა და უაირათი ესწავლებინათ! სომხის კაცები იმახიან, გარედამ რომ შინ მილიონები შეგიტანოთ, უაირათიანი დედა-კაცები თუ არა გვყოლოდა, ორ დღეში ქართველ კნიაზებათ შევიქნებოდითო. კაი მოუყათ, კაი დედა-კაცები იმათა ჰყოლიათ! დედა-კაცობა ჩვენებმა დაიკვეხონ: დარდიმანდობა, ეშხი, მიჯნურობა არა სწყინდებათ. ვეთაყვანე იმათ სულში. შვილებსაც აგი ის თვისება ჰყვებათ. კაცმა რომ თავისი სიცოცხლე ლხინით დაიწყოს და საკვდილამდის სიტკბოებაში გაატაროს, სხვა რა მინდა? ჩემი მამული, ქონება, სწავლა ის არის, რაც ბედნიერებას და ლხინს მომცემს.

(შემდეგი იქნება)

პაპის მიწა-წყალს სომხეთს დიდი ხანია თავს ანებებს და ქართველსავით თავის მიწა-წყლის ზრუნვას მოჩჩენილა. მეორედ იმითი არის ნეტარი, რომ ქართველის მამულის ყიდვით, იმას ზრუნვა არ ემატება, უფრო ლხინით ატარებს. ბოლოს მადლობის ღირსია, როგორც ქართველი კაცის დამხსნელი, ზრუნვისაგან გამომყვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის და ამ კითხვის ფეხზე დაყენება, როგორც ჩვენი თავად-აზნაურობა შეიყრება? რასაკვირველია, მარშლებზე. მაშ მარშლებმა, თუ მათში დარჩენილა ცოტაოდენი ნაპერწკალი მამულის სიყვარულისა, უსათუოდ უნდა აღძრან ეს კითხვა კრებაში, დროა, მამებმა გაიგონ თავიანთი მოვალეობა და დაიხსნან შვილები რუსეთის მავნებელის ჰაერისაგან და სხვა უბედურებისაგან, რომლების მსხვერპლათ ისინი არიან. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ ერთობ კარგი იქნება, რომ ეს თხოვნა იყოს ერთად-ერთი, რადგანაც ამ დროებით ჩვენი საზოგადოება ვერაფერს ამის უკეთესს ვერ სთხოვს მისს იმპერატორებითის უდიდესობას.

ს. ასკანელი.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ბერლინის კონგრესის ძალით, როგორც მოგეხსენებათ, ჩერნოგორიას უნდა ჩაჰბარებოდა ორი მაზრა ალბანიისა,—პლავის მაზრა და გუსინიისა. ბევრი ხანი გავიდა მას აქეთ, მაგრამ ეს მუხლი კონგრესის განაჩენისა არ აღსრულებულა. ოსმალეთის მთავრობა თავს იმართლებდა იმით, რომ ალბანიელები არა შვრებიანო. ბოლოს ოსმალოს მთავრობამ გაგზავნა ჯარი მუხთარ-ფაშის წინამძღოლობით, რომელსაც უბძანა, როგორც იყოს ალბანიელნი დააჩუმეო და შიაცემინე ეს ორი მაზრა ჩერნოგორიას. მაგრამ მუხთარ-ფაშამაც ვერა გააწყო რა. ჩერნოგორიის მთავარი მოთმანებიდამ გამოვიდა, დასძრა ჯარი—ჩემ კუთვნილებას ძალით ავიღებო. ამ დროს ჩერნოგორიის მთავარს მოუვიდა დეპეშა რუსეთის ელჩისაგან სტამბოლში, თ. ლობანოვისაგან, (ეხლა ლონდონში არის დანიშნული ელჩათ), რომელიც სწერდა მას—ჯერ დაიცადეო, ძალას ნუ იხმარებო, რადგანაც თვითონ ოსმალეთის მთავრობა გადმოგცემთ თქვენ კუთვნილებასაო, მხოლოდ დრო დასჭირდებაო. ამასობაში ალბანიელთა არეულობამ უფრო და უფრო იმატა. მუხთარ-ფაშის პროკლამაციებზე ალბანიელთ უპასუხეს, რომ უომრად გუსინეის და პლავას ვერ დავანებებთო. ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ჩერნოგორიისა და ალბანიის შორის ომი ატეხილია.

**ისპანია.** ისპანიის საპოლიტიკო საქმეები, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ხანია დახლართულნი არიან; წამ და უწუმ არეულობა, წამ და უწუმ მინისტრების გამოცვლა და სხვ. თითქო ისპანიის ბედის წერაა. ამ ბოლოს დროს მარტინეც-კამპოსის სამინისტრო გამოვიდა სამსახურიდამ და დაუთმო ადგილი კანოვას-დელ-კასტილიოს. მარტინეცის გამოსვლა სამსახურიდამ, ამბობენ, დასანანიაო, რადგანაც სხვათა შორის, მონაობის მოსპობას ცდილობდა ისპანიის კოლონიებშიო. ეს მართალი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მარტინეც იმდენად ჩვილი და უძლური კაცი იყო, რომ მის მეცადინეობაში არავითარი სიმტკიცე არ მოჩანდა და ყოველი მისი სურვილი მარტო სურვილი იყო და სხვა არაფერი.

ბოლოს ერთს მეორე განსაცდელი გამოუჩნდა ისპანიას: როდესაც ისპანიის კოროლი და მისი მეუღლე დაბრუნდნენ შინისაკენ ვიღამაც ორჯელ გაისროლა მთკენ დამბაჩა, მაგრამ ვერ მოხვდა. მსროლელი ყოფილა ცხრამეტის წლის ბიჭი, პიროქნიკი, სახელად ფრანცისკ ოტერო. ამ საქმის შესახებ გაზეთს „Temps“-ში იწერებიან: „გამოძიება ძალიან ჩქარა მიდის. გამოძიებიდამ ცხადად სჩანს, რომ ოტეროს წინადვე ჰქონია მოსაზრებული და დამზადებული თავისი განზრახვა. თვითონ ოტერო ამტკიცებს, რომ ეს საქმე სიღარიბემ და სხვის რჩევამ მაქნევინაო. ოტერო, უეჭველია, ტყუის ვითომ მას არავითარი საპოლიტიკო განზრახვა არ ჰქონია გუნებაში.

# განცხადებანი

—

კავკაზიის სამხედრო მთავრობის განკარგულებით სა ი ნ ტ ე ნ დ ა ნ ტ ო გამგეობისაგან ამ წლის 10 იანვარს დანიშნულია ვაჭრობა ბაქოს გუბერნიის სამართველოში შემდეგ საგნებზე: ა) სურსათისა და ხორაგეულის დამზადება და ბ) შეშის და ცოცხების დამზადება იმ ლოშპიტლისათვის, რომელიც ჩატში იქნება გამართული ამ 1880 წლის 1 მარტიდამ ვიდრე 1881 წლის 1 იანვრამდინ. ვაჭრობა მხოლოდ ერთხელ იქნება.

დაწვრილებული პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან ოკრუჟნი საინტენდანტო გამგეობაში ან ბაქოს გუბერნიის სამმართველოში.

(3—1)

---

ამ 1880 წლის 10 ი ა ნ ვ ა რ ს პ რ ი კ ა ზ შ ი დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) შემდეგ პირთა უძრავ მამულების გასყიდვაზედ, რადგან ამათ ხვედრი გადასახადი ფული არ შემოიტანეს პრიკაზში. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ ვაჭრობა (პერეტორჟკა) იქნება.

1) თფ. მოქალაქის სარქის არაქელოვიჩის ა რ ა ქ ე ლ ო ვ ი ს სახლი 1 ოტდელენიის 2 უჩასტკაში, 1864 წლიდამ ნედოიმკა აქვს 750 მან.

2) მართა იაგორის ასულის მ ა ი ს უ რ ო ვ ი ს სახლი, ჰავლაბარში პრავიანტის მაღაზიასთან, 1864 წლის, 300 მან.

3) კნიაგინა ელისაბედ ბ ე ბ უ თ ო ვ ი ს სახლი, 1 განყოფ. მეორე უჩასტკაში, სოლოლაკზე, ამაღლების ქუჩაზე, (ადრინდელი ისამანოვების)—1871 წლიდამ, 16,000 მან.

4) თფ. მოქალაქის მუღდუსი გრიქურის ძის შ ა ხ ნ ა ზ ა რ ო ვ ი ს სახლი მე-2 განყოფ. მე-12 უჩასტკაში, ჩუღურეთში—1877 წლიდამ 4,300 მან.

ვისაც ამ მამულების ყიდვა ჰსურს, დაფასების სიები და სხვა საბუთები შეუძლიან პრიკაზში ნახოს.

---

4 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს ამ 1880 წელს პ რ ი კ ა ზ შ ი დანიშნულია ვაჭრობა შემდეგ პირთა სახლების გასყიდვაზედ, რადგან ამათ აღებულს სესხში ხვედრ გადასახადი ფული ვერ წარმოადგინეს პრიკაზში. ყველა ეს სახლები თფილისშია. სამი დღის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იქნება:

1) ივანე ანდრეას ძის ზ უ ბ ა ლ ო ვ ი ს სახლი, 1 განყოფ. 1 უჩასტ. ჭავჭავაძისა და კამენდანტის ქუჩების კუთხეზე—1859 წელს,—5,400 მან.

2) თფ. მოქალაქის იაკობ ს უ ქ ი ა ს ო ვ ი ს სახლი, მე-2 განყოფ. მე-12 უჩასტკაში, 1864 წლიდამ, 1,270 მან.

3) სიღნაღის მოქალაქის მელქო ფ ა რ ს ა დ ა ნ ო ვ ი ს სახლი, სურფმინასის აღმართზე, 2 განყოფ. მე-13 უჩასტ., 1868 წლიდამ, 300 მან.

4) თ. ზაქარია გიორგის ძის ე რ ი ს თ ვ ი ს სახლი, 1 განყოფ. მეორე უჩასტკაში, ლაბარატორის ქუჩაზე, 1869 წელს—24,250 მან., 1871 წ. 2,700 და 2,300 მან. და 1875 წ.—15,000 მან.

5) მიხეილ იაგოროვიჩ ტ ე რ - დ ა ვ ი დ ო ვ ი ს სახლი, მე-2 განყ. მე-13 უჩასტკაში, 1869 წელს—3,000 მან.

6) თ. ალექსანდრე ივანეს ძის ჯ ა მ ბ ა კ უ რ ი ა ნ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს სახლი, 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, 1870 წელს—4,270 მან.

7) თფ. მოქალაქის გეურქ ბ ა ს ი ნ ო ვ ი ს სახლი, მეორე განყოფ. მე-11 უჩასტკაში, მიხაილოვის ქუჩა, № 83, 1875 წ. 2,900 მან.

8) კარლ კარლიჩ ვ ე კ მ ა ნ ი ს სახლი მე-2 განყ. მე-11 უჩასტკაში, ჭავჭავაძე-ბაღის ქუჩაზე, 1878 წელს—2,000 მან.

ვისაც ამ ზემოხსენებულ მამულების ჰსურს, დაწვრილებულ პირობებისა და დაფასებით სიების (ოცენოჩნაია ოპისების) ნახვა, პრიკაზში შეუძლიან.

(3—1)

---

### სახაზინო

კავკაზიის ინჟინერის უპრავლენიაში დანიშნულია ათს იანვარს 1880 წელს ტორგი შემდეგ საგნებზე: ა) სტავროპოლში კაზარმის გადაკეთება, რომლისათვისაც გადადებულია 25,144 მ. 86 კ. და ბ) იქვე ცეიხაუზის გადაკეთება სამზარეულოთ და ფურნეთ, რომლისათვისათვისაც გადადებულია 1,426 მან. 8 კაპ. დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ინჟინერის უპრავლენიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდინ.

---

კავკაზიის ინჟინერის უპრავლენიაში დანიშნულია ვაჭრობა 10 იანვარს უპერეტორჟკოთ ბორჯომის ყაზარმებისათვის ფეხის-ადგილების გასაკეთებლათ, რომლისთვისაც გადადებულია 5,200 მან. 49 კაპ. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ინჟინერის უპრავლენიაში 9 საათიდამ 2 საათამდინ ნასადილევს.

---

### თფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობისაგან

თფილისის გუბ. სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 5 დეკემბერს დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულია ახალი ტაქცია თფილისის გუბერნიის სახელმწიფო ტყეების შესახებ, რომლითაც მოხდება შემდეგი ცვლილება და დამატება ძველი ტაქციისა:

**ალგულაღის** (ბელიკლიუჩის) სახელმწიფო ტყის შესახებ: მანგლისის სასეირნო ტყე ჩაითვლება პირველ ხარისხის ტყედ და ალგულაღის—მესამე ხარისხის;

**დუშეთის** სახელმწიფო ტყეები: კადოეთისა, მტვალისისა, ენისისა და კოჩებისა ჩათვლილი არიან მეოთხე ხარისხში;

**გორის** უეზდის სახელმწ. ტყეები: სარმანისშვილის-კარის ტყე მესამე ხარისხში; ძეგვის ტყეში ნაძვირის ორმოსთვის ძნელად მისადგომ ადგილებზე თვის ქირა არის დანიშნული 60 მან.

**შირაქის** სახელმწ. ტყე: ვანაანის ტყე ჩარიცხულია მესამე ხარისხში.

**ლორის** მაზრაში: ახკერპინის სახელმწიფო ტყე მეოთხე ხარისხიდამ მესამეშია ჩარიცხული; ფასები დანიშნულია: კუბიკური კირის ქვა 2 მან. და 50 კაპ. და საშენი ქვის—1 მან. და 50 კაპ., ერთი ფუთი კაკალი—20 კაპ.

**აბასტუმნის** ტყეში, სახელდობრ ცახანისა და თვითონ აბასტუმნის ტყეში 50 ფუთი ნაძვირის დაწვისათვის 20 კაპ.

**საგურამო-გლდანისა და მარტყოფ-იორის** ტყეებში დანიშნულია შემდეგი ფასები: საგურამოს სახელმწ. ტყეში, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარესკენ, ნაძვირის თითო ორმოში თვეში სამოც-და-ხუთი მანეთი და კველიანის ტყის აგრეთვე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარესაკენ თვეში სამოცი მან.

(3—2)

---

### სავაჭრო სახლი
### იაგორ კასუმოვი და კამპანია

ჰყიდის **შეშას**, რომელიც დაწყობილია ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგზალზე. შეშა არის რცხილისა და ჭანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Декабря 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე, ს. მესხი.